

უწყვეტი კვების წყაროების 2018-2019 წლების კონსოლიდირებული ტენდერის

სატენდერო კომისიის სხდომის ოქმი №4

ქ. თბილისი

13 ივნისი, 2019 წელი

სხდომას ესწრებოდნენ:

ლევან რაზმაძე - სსიპ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარე, სატენდერო კომისიის თავმჯდომარე;

ილია ბეგიაშვილი -- საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის მოადგილე, სატენდერო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე;

ლერი ბარნაბიშვილი - საქართველოს ფინანსთა მინისტრის მოადგილე, სატენდერო კომისიის წევრი;

ნოდარ ხადური - სსიპ კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარე, სატენდერო კომისიის წევრი;

ლევან კაკავა - საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე, სატენდერო კომისიის წევრი;

ნინო ენუქიძე - საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილე, სატენდერო კომისიის წევრი;

სხდომის მდივანი:

დავით მორალიშვილი - სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო, უფროსი ექსპერტ-კონსულტანტი კონსოლიდირებული შესყიდვების სფეროში.

დღის წესრიგი:

2018 წლის 2 აპრილს გამოცხადებული 2018-2019 წლების უწყვეტი კვების წყაროების კონსოლიდირებული ტენდერის (CON170000118) ფარგლებში სატენდერო წინადადების მოქმედების ვადის გაგრძელება.

განხილვა:

სატენდერო კომისიის თავმჯდომარემ ლევან რაზმაძემ კომისიის წევრებს მიაწოდა შემდეგი ინფორმაცია, რომ 2018-2019 წლების უწყვეტი კვების წყაროების კონსოლიდირებული ტენდერი გამოცხადებულია 7500 ერთეულ სტანდარტული უწყვეტი კვების წყაროზე ამასთან, შესყიდვის ობიექტის ჯამური რაოდენობა საორიენტაციო ხასიათისაა და შემსყიდველი ორგანიზაციების საჭიროებიდან გამომდინარე შესაძლებელია შეიცვალოს 20%-ით მეტი ან ნაკლები ოდენობით.

სატენდერო დოკუმენტაციის 3.18 პუნქტის შესაბამისად გამარჯვებული პრეტენდენტის სატენდერო წინადადება ძალაშია 2019 წლის 1 აპრილის ჩათვლით.

კონსოლიდირებული ტენდერით (CON170000118) გათვალისწინებული სატენდერო წინადადების მოქმედების ვადის დასრულების შემდგომ, კონსოლიდირებულ ტენდერში გამარჯვებულმა მიმწოდებელმა შპს „ულტრა“ სატენდერო კომისიას მიმართა შესაბამის ოფიციალურ ელ. ფოსტაზე. შპს „ულტრა“ წერილში განმარტავს, რომ შემსყიდველი ორგანიზაციების მიერ არ არის შესყიდული უწყვეტი კვების წყაროების ის მინიმალური რაოდენობა, რაც განსაზღვრულია ამავე კონსოლიდირებული ტენდერით და ითხოვს სატენდერო წინადადების მოქმედების ვადის გაგრძელებას.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სატენდერო კომისიამ გადაამოწმა შპს „ულტრას“ მიერ მოწოდებული ინფორმაცია და მიზანშეწონილად მიიჩნია საქართველოს მთავრობის 2018 წლის 16 მარტის №615 განკარგულების მე-5 პუნქტის საფუძველზე გაგრძელდეს 2018-2019 წლების უწყვეტი კვების წყაროების კონსოლიდირებული ტენდერის (CON170000118) სატენდერო წინადადების მოქმედების ვადა 2019-2020 წლების უწყვეტი კვების წყაროების კონსოლიდირებული ტენდერის გამოცხადებამდე, მაგრამ არაუგვიანეს 2019 წლის 31 ოქტომბრისა. შემსყიდველ ორგანიზაციებს დაერთოთ ნება ზემოაღნიშნული შესყიდვის ობიექტი შეისყიდონ 2018-2019 წლების უწყვეტი კვების წყაროების კონსოლიდირებული ტენდერით (CON170000118) განსაზღვრული ფასისა და პირობების შესაბამისად, ამავე ტენდერში გამარჯვებული მიმწოდებლისაგან.

აღნიშნულთან დაკავშირებით შენიშვნები არ გამოთქმულა.

კომისიამ დაადგინა:

1. „2018-2019 წლების განმავლობაში უწყვეტი კვების წყაროების სახელმწიფო შესყიდვის კონსოლიდირებული ტენდერის საშუალებით განხორციელების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 16 მარტის №615 განკარგულების მე-5 პუნქტის საფუძველზე, გაგრძელდეს 2018-2019 წლების უწყვეტი კვების წყაროების კონსოლიდირებული ტენდერის (CON170000118) სატენდერო წინადადების მოქმედების ვადა 2019-2020 წლების უწყვეტი კვების წყაროების კონსოლიდირებული ტენდერის გამოცხადებამდე, მაგრამ არაუგვიანეს 2019 წლის 31 ოქტომბრისა;
2. შემსყიდველ ორგანიზაციებს მიეცეთ უფლება, გააფორმონ შესაბამისი სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულებები 2018-2019 წლების განმავლობაში უწყვეტი კვების წყაროების სახელმწიფო შესყიდვის მიზნით გამოცხადებული კონსოლიდირებული ტენდერის (CON170000118) ფარგლებში.
3. დაევალოს სსიპ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს, სატენდერო კომისიის წევრებთან ელექტრონული ფოსტის მეშვეობით შეთანხმებიდან, არაუგვიანეს 1 სამუშაო დღეში წინამდებარე ოქმის ერთიან ელექტრონულ სისტემაში განთავსება.

ოქმის რედაქცია შეთანხმებულია კომისიის წევრებთან ელექტრონული ფოსტის მეშვეობით.